# ხელშეკრულება №127

ქ. თბილისი

24.09.2013 წ.

ერთი მხრივ, ქ. თბილისის აკ.ილია ვეკუას საზ. ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნუგზარ კედელაშვილის სახით და მეორე მხრივ შპს "გლობუსი ემ-ბე" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის – მაკა ბეშიძის სახით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.. . ხელშეკრულების საგანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ""მიმწოდებელმა " შემსყიდველს" მიაწოდოს 198 ლარის (ასოთხმოცდათვრამეტი ლარი ____ თეთრი) ღირებულების საკანცელარიო საქონელი (CPV22800000, CPV30100000).

## 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველს" მიაწოდოს მის მიერ შერჩეული ხარისხიანი საქონელი, დროულად და შეთანხმების პირობების დაცვით, ხოლო უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში აანაზღაუროს საქონლის ღირებულება და თანმდევი ხარჯები.

2.2. "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველს" მიაწოდოს მის მიერ შერჩეული ხარისხიანი საქონელი, დროულად და შეთანხმების პირობებში. "შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს "მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის საფასურის ანაზღაურება, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება ჩაბარების აქტის შესაბამისად, ათი საბანკო დღის ვადაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. მოცემული ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 24 ოქტომბრამდე.

## 4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" განხორციელდება ლარებში ან სხვა ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## 5. ფორს-მაჟორი

5.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში მხარეებს შორის ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 6. დავათა განხილვის წესი

6.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

## 7. ზოგადი დებულებები

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნას ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

7.2. ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი მხარის მიერ შესყიდვის რეალურ განხორციელებამდე ნებისმიერ დროს. ამ მომენტისათვის გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება.

7.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო მეორე "მიმწოდებელს".

## 8. მხარეთა რეკვიზიტები

**"შემსყიდველი"**

აკად. ი.ვეკუას სახელ. ფიზ.-მათემატიკის №42 საჯარო სკოლა

(ორგანიზაციის დასახელება)

ქ. თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. №9

(მისამართი)

ს/კ: *203853856*, საქართველოს "ლიბერთი ბანკი"-ს მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი, ბ.კოდი:LBRTGE22, ანგ.№GE59LB0121110249062001

(რეკვიზიტები)

ნუგზარ კედელაშვილი

(სახელი, გვარი)

**"მიმწოდებელი"**

შპს გლობუსი ემ-ბე

(ორგანიზაციის დასახელება)

ქ.თბილისი, წერეთლის N141ა

(მისამართი)

ტ. 2 34-49-12

(საკონტაქტო ტელეფონი)

ს/კ 202 446 969
საბანკო კოდი BAGAGE22
ანგ.№ GE72BG0000000193217500

(რეკვიზიტები)

მაკა ბეშიძე

(წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი)